MES 3 20 0000845865

16/09/2020

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2020 წლის 2 სექტემბერს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:***

**თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**თამარ ლაღიძე** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
**დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
**მაია მანწკავა** - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
**მორისი შალიკაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
**იური მღებრიშვილი** - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტისდირექტორის მოადგილე;
**თამარ იოსელიანი** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

**ირაკლი კოხრეიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;
**ირმა ჭანტურია** - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

***სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:***

**გიორგი მუნჯიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**გაგა გვენეტაძე -** უმაღლესიგანათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:***

**1. სსიპ - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**
როლანდი კოპალიანი - რექტორი;
კახა კუპატაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
შალვა კირთაძე - რექტორის მოადგილე;
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამთა კობახიძე - სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;
ნატო წულეისკირი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
დავით გეგეჭკორი - საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
თეა ვალიშვილი - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსი;
მირანდა კავაძე - სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
იმერი ბასილაძე - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;
ირინე ფხაკაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

1. **2. შპს კავკასიის უნივერსიტეტი:**

კახა შენგელია - კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ნინო კალანდაძე - ტურიზმის სკოლის დეკანი;
გიორგი ბრეგაძე - პროგრამების ხელმძღვანელი.

***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):***

გოდერძი ბუჩაშვილი
ქეთევან აფთარაშვილი
დავით სიხარულიძე
გოჩა თუთბერიძე
თინათინ გაბრიჩიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:03 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

**1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა განაცხადა, რომ ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინსტიტუციის მიერ ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესრულება, რომლებიც ეხებოდა ინსტიტუციის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვას და კვლევით საქმიანობას. ექსპერტების მიერ მონიტორინგის პროცესში გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია დროულად იქნა მიწოდებული უნივერსიტეტის მხრიდან, რამაც ექპერტთა ჯგუფს მათი დეტალურად შესწავლის საშუალება მისცა.

***ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით 2018 წელს გაცემული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციესბი შესრულების შეფასება 2020 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში:***

- უზრუნველყავით სტრატეგიული გეგმის გაძლიერებული მონიტორინგი - **ნაწილობრივ შესრულებულია**
- ჩართეთ უცხოელი სტუდენტები თვითმმართველობაში - **ნაწილობრივ შესრულებულია**
- ხელი შეუწყვეთ კურსდამთავრებულებთან მუშაობის მიმართულებას და გახადეთ იგი უნივერსიტეტის სტრუქტურული ნაწილი - **შესრულებულია**
- ჩართეთ სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური ინსტიტუციის მენეჯმენტში - **შესრულებულია**
- გადახედეთ საუნივერსიტეტო გამოკითხვების მეთოდოლოგიას - **შესრულებულია**
- უზრუნველყავით რომ ყველა შესაბამისი პერსონალის მიერ გათვალიწინებული იყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებით მიღებული შედეგები - **შესრულებულია**
- უზრუნველყავით ხარისხის ციკლის დასრულება სამოქმედო გეგმების შემუშავებით და მათი განხორციელებით ფაკულტეტების/სტრუქტურული ერთეულების დონეზე - **შესრულებულია**
- თანამშრომელთათვის ტრეინინგების შეთავაზებითა და უსდ-ს მენეჯმენტის მხრიდან გააგრძელეთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალის მხარდაჭერა - **შესრულებულია**
- გააუმჯობესეთ და შეაფასეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები - **არარის შესრულებული**
- აწსუ-ს მედიცინისა და ჯანდაცვის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმის მხარდასაჭერად, უზრუნველყავით ეთიკის კომისიაში აკადემიური პერსონალის მინიმუმ ერთი წევრის ყოფნა კლინიკური მიმართულებით - **ნაწილობრივ შესრულებულია**
- გაზარდეთ ინფორმირებულობის ხარისხი პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის მექანიზმების შესახებ - **ნაწილობრივშესრულებულია**
- გაზარდეთ ინფორმირებულობის ხარისხი ეთიკის კომიტეტის მუშაობის შესახებ - **ნაწილობრივშესრულებულია**

***ახალი რეკომენდაციები სტანდარტთან მიმართებით:***

- ჩართეთ უცხოელი სტუდენტები არჩევითი ორგანოების მუშაობაში და დაგეგმეთ აქტივობები მართვის ორგანოებში ჩართულობისთვის სტუდენტებში ცნობიერების ასამაღლებლად;

- განახორციელეთ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი შემუშავებული მონიტორინგის პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისად;
- გააუმჯობესეთ და შეაფასეთ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები;
- გაზარდეთ ინფორმირებულობის ხარისხი ეთიკის კომიტეტის მუშაობის შესახებ;
- პლაგიატის და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სხვა ფორმების გამოვლენის შემთხვევაში მათს განსახილველად უზრუნველყავით შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან დაკომპლეტქებული კომისიების მუშაობა; უზრუნველყავით უნივერსიტეტის ეთიკის კომისიაში აკადემიური პერსონალის მინიმუმ ერთი წევრის ყოფნა კლინიკური მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის პირველი რეკომენდაცია ეხებოდა უცხოელი სტუდენტების თვითმმართველობაში ჩართვის საკითხს, ამ მიმართულებით დაწესებულების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ, ისინი ცდილობდნენ გაეზარდათ სტუდენტთა ცნობიერება და ჩაერთოთ უცხოელი სტუდენტები მმართველობის პროცესში, თუმცა, მაგ., წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების პროცედურებისა და წევრების შესახებ ინფორმაციის სრულად შესწავლის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დამატებით იქნა გამოთხოვილი საარჩევნო კომისიის ოქმები, რომელთა განხილვის შედეგად გამოიკვეთა გარემოება, რომ 13 სტუდენტი კანდიდატიდან რეგისტრირებული იყო ყველა ქართველი კანდიდატი და ცამეტივე იქნა აირჩეული წარმომადგენლობით საბჭოში, გარდა ამისა მათ შეისწავლეს არჩევნებში სტუდენტთა მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებლები, აღსანიშნავია რომ ზოგიერთ ფაკულტეტზე აქტიურად იყვნენ სტუდენტები არჩევნებში ჩართულნი, ზოგიერთზე კი შეიმჩნეოდა ჩართულობის შედარებით დაბალი დონე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ამ მიმართულებით სასურველი იყო დაწესებულებას აქტიურად გაეგრძელებინა უცხოელი სტუდენტების ჩართულობაზე ზრუნვა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის პარლამენტის წევრები შედიოდნენ და ვინაიდან სტუდენტთა თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა 2018 წელს და მასში ვერ მოხვდა უცხოელი სტუდენტი, შესაბამისად ისინი ვერ მოხვდნენ ვერც ფაკულტეტის საბჭოში, რომლის არჩევნებიც 2019 წელს ჩატარდა, ინსტიტუციამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც მიმდინარეობდა მუშაობა, რაც მიზნად ისახავდა მეტი უცხოელი სტუდენტის ჩართვას. აქედან გამომდინარე, ქეთევან აფთარაშვილიმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია ექსპერტების მიერ ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა.

რაც შეეხებოდა, შესრულებულ რეკომენდაციას, კარიერული განვითარების სამსახურთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2018 წელს შეიქმნა სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, ცვლილებები შევიდა ინსტიტუციის ორგაიზაციულ სტრუქტურაშიც, 2019-2020 წლებში დტრუქტურას დაემატა პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი და ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც ნაწილობრივ პასუხობდა იმ რეკომენდაციას, რომელიც გაცემული იყო ტრენინგებთან დაკავშირებით, ინსტიტუცია აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით და ატარებდა სხვადასხვა ტრენინგებს, გარდა ამისა, საუბარი იყო კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, აღნიშნა, რომ აწსუ-მ შექმნა კურსდამთავრებულებისგან შემდგარი მეგობართა კლუბი, ასევე, დაწესებულებას ჰქონდა კუსდამთავრებულთა ქსელიც რაც გულისხმობდა, რომ დაწესებულება მუშაობდა ამ მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის გაძლიერებულ მონიტორინგთან დაკავშირებული რეკომენდაცია, ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც ნაწილობრივ იყო შესრულებული. ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ

შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები, თუმცა ვადებიდან გამომდინარე ინსტიტუციის მიერ მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო 2020 წლის 25 დეკემბერს, რაც აღნიშნული იყო დოკუმენტშიც, შესაბამისად ექსპერტებს არ მიეცათ საშუალება შეემოწმებინათ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით.

სტანდარტის 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგადად ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა იყო შეცვლილი, რეკომენდაციები, რომლებიც გაცემული იყო გამოკითხვის მეთოდოლოგიასთან და გამოკითხვის შედეგების გაზიარებასთან დაკავშირებით ცალსახად შესრულებულად ჩაითვალა, რადგან დასტურდებოდა სამოქმედო გეგმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილი ანგარიშებით. თანამშრომლების ტრენინგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არაერთი ტრენინგი დაიგეგმა და განხორციელდა ინსტიტუციის მიერ.

რაც შეეხებოდა, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმის გაუმჯობესებისა და მისი შეფასების შესახებ რეკომენდაციას, ავტორიზაციის წინა დასკვნის საფუძველზე ჩანდა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა დაგეგმვის მეთოდოლოგია და ძირითადი ფაქტორიებიც იყო განსაზღვრული ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში რაიმეს ცვლილება, გაუმჯობესება ან შეფასება არ მომხდარა, შესაბამისად ამ სტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ გააუმჯობესონ და შეაფასონ სტუდენტთა კოტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შეფასების ნაწილზე.

სტანდარტის 2.3. კომპონენტში ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის საკითხზე, ყურადღება გამახვილებული იყო ეთიკის კომისიაში კლინიკური ან მედიცინის მიმართულებით მინიმუმ ერთი აკადემიური პერსონალის ყოფნასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ეთიკის კომისიის ბოლო შემადგენლობა, რომელიც 2020 წლის 25 მაისს დამტკიცდა და მასში იყო სტუდენტი მედიცინის მიმართულებით, თუმცა არა აკადემიური პერსონალი მედიცინის მიმართულებით. რაც შეეხებოდა, ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას პლაგიატის მექანიზმების გამოვლენასთან დაკავშირებით დასკვნის აღწერის ნაწილში ჩანდა, რომ ინსტიტუციამ არაერთი აქტივობა განახორციელა ამ მიმართულებით, რომელიც აღნიშნული ჰქონდათ იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ მხარედ.

რეკომენდაციის „გაზარდოს ინფრომირებულობის ხარისხი ეთკის კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებით“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ ფუნქციონირებდა ომბუდსმენის ოფისი, რომელიც ამ მიმათულებით აქტიურად მუშაობდა: ხვდებოდა სტუდენტებს, პერსონალს, ინსტიტუციამ ასევე წარადგინა როგორია მიმართვიანობა, სტატისტიკური მაჩვენებლები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით უნდა გაძლიერებულიყო არა მხოლოდ ომბუდსმენის ოფისის მუშაობა უნდა შექმნილიყო გზამკვლევები, ვიდეოები, ბეჭდური მასალები, რადგან კომიტეტის მუშაობის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი გაცილებით უფრო გაუმჯობესებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ უცხოელი სტუდენტების ჩართვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება შესაძლებლობას მოკლებული იყო, რომ ძალდატანებით მოეხდინა ცვლილება აღნიშნულ ორგანოთა საქმიანობაში და დაეძალებინა რომელიმე სტუდენტისთვის პროცესში მონაწილეობა. თუმცა, შესაძლებელი იყო დაწესებულებას მოეხდინა მათი ინფორმირება, რადგან პროცესში ჩართვა სტუდენტის ნების გამოვლენა უნდა ყოფილიყო.

ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ ამას ეხებოდა ექსპერტთა ჯუფის რეკომენდაციაში ჩანაწერი „გაიზარდოს ინფორმირებულობის დონე“.

*თავდაპირველი რეკომენდაციები მე-6 სტანდარტთან მიმართებით:*

- განახორციელეთ კვლევის განვითარების პოლიტიკის მონიტორინგი მისი ეფექტურად დანერგვისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით - **შესრულებულია**
- ჩამოაყალიბეთ რეგულაციები რიგი სადოქტორო პროგრამების გაუქმებასთან დაკავშირებით - **შესრულებულია**
- წაახალისეთ აკადემიური პერსონალი და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები, რომ გაიუმჯობესონ უცხო ენების ფლობის უნარები, რათა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ საერთაშორისო კვლევებში და ქონდეთ უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობა - **ნაწილობრივ შესრულებულია**
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს წინადადება კვლევის მიმართულების განსაზღვრის მიზნით - **შესრულებულია**
- ჩართეთ უფრო მეტი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები კვლევის განვითარებაში და გაითვალისწინეთ მათი ინტერესი ინგლისური ენის შესწავლასთან დაკავშირებით - **ნაწილობრივ შესრულებულია**
- გადახედეთ უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმებს და ფოკუსირდით უფრო მეტად აქტიურ თანამშრომლობაზე, ვიდრე მემორანდუმების რიცხვზე, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებით - **შესრულებულია**
- უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული რეგულაცია სამეცნიერო პერსონალის შეფასების მიზნით - **შესრულებულია**
- უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული რეგულაცია ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებით - **შესრულებულია**
- განავითარეთ მკვლევართა ჯგუფის წევრების უცხო ენის უნარები - **ნაწილობრივ შესრულებულია**
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც მალე (დაახლოებით 1-2 წელიწადში) საშუალებას მისცემს შეაფასოს კველვითი საქმიანობა და კველვითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია - **შესრულებულია**

*სტანდატთან მიმართებით გაცემული ახალი რეკომენდაციები:*

- განახორციელეთ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალი და სტუდენტების ჩართულობის გაზრდას, რათა გაიუმჯობესოს უცხო ენების ფლობის უნარები და მიეცეთ საშუალება, ჩაერთონ საერთაშორისო კვლევებში და ჰქონდეთ უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობა;
- ვინაიდან ენობრივი უნარების განვითარების ფაქტობრივი მონაცემები არასახარბიელოა, საჭიროა მკვლევართა ჯგუფებს ჰქონდეს უფრო მაღალი ენობრივი უნარები;
- დანერგეთ და განახორციელეთ სამეცნიერო პერსონალის შეფასებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული რეგულაციები.

ექსპერტი, გოდერძი ბუჩაშვილი, მიესალმა სხდომის დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ სტანდარტის 6.1 კომპონენტი ეხებოდა კვლევის მონიტორინგისა და მისი ეფექტური განხორციელების შეფასებას, ექსპერტთა აზრით აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა, რადგან არსებული სიტუაციის გამოსწორების მიზნით დაწესებულებამ ჩამოაყალიბა კვლევითი განვითარების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელმაც შეისწავლა გამოკითხვის შედეგად აღნიშნული მდგომარეობა, დაადგინა გასაუმჯობესებელი მხარეები და მიუთითა სტრატეგია ამ კუთხით. 6.1 კომპონენტი იყო რეგულაციების ჩამოყალიბება სადოქტორო პროგრამის დაუფლებასთან დაკავშირებით, რადგან მათ რეგულაციებში არ ჰქონდათ მითითებული პუნქტი რა უფლებები ექნებოდა სტუდნეტს იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამას გააუქმებდა, სტუდენტს უნდა ჰქონოდა უფლება, რომ გადასულიყო სხვა რომელიმე სადოქტორო პროგრამაზე, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა, რადგან დაწესებულებამ ჩაწერა, რომ სტუდენტს ქონდა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და ა.შ. უფლება.

რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წახალისებას უცხო ენის უნარების გაუმჯობესებას, იყო ნაწილობრივ შესრულებული, რადგან დაწესებულებამ გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით და აკადემიურ პერსონალს უფასოდ სთავაზობდა ენობრივი კომპეტენციის გაზრდას, სტუდენტებს კი შეღავათიან ფასად. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი ამ მიმართულებით იყო არასახარბიელო მონაცემები და ექსპერტების მოსაზრებით უნდა განხორციელებულიყო მეტი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობდა სტუდენტების დაინტერსებას, რომ რაც შეიძლება მეტი პირი ჩაერთულიყო უცხო ენის უნარების გაუმჯობესებისთვის მიმართულ აქტივობებში. შეფასებული და მითითებული იყო კონკრეტული ციფრებიც, თუმცა პროცესი უნდა გაგრძელებულიყო, რადგან ეს იყო ხანგრძლივი პროცესი და საჭიროებდა სისტემატიურ მხარდაჭერას, ხელშეწყობასა და განვითარებას.

სტანდარტის 6.2 კომპონენტის რეკომენდაციასთან მიმართებით იყო საკითხი, რომ უნივერსიტეტის მხრიდან სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების კვლევების განვითარების მიმართულებით განხორციელებულიყო შესაბამისი აქტივობები და გაზრდილიყო მათი ინგლისური ენის კომპეტენცია. ექსპერტებმა შეისწავლა აკადემიური პერსონალის რეზიუმეები, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვები, შემუშავდა ანგარიშები, წარედგინა ფაკულტეტებს აღნიშნული ანგარიში, დაწესებულებამ კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის მიზნით სიმბოლურად წაახლისა ისინი, კონფერენციაზე მათ გადაეცათ საკონფერენციო მასალები და საჩუქრები. მკვლევართა ჯგუფებში ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარებისთვის, აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გაიზარდა საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო საათები, ანუ საათები გამოიყო იმისათვის, რომ მეტად ემუშავათ იმპქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემებისთვის სტატიების მომზადებაზე და ეს უნაზღაურდებოდათ კიდეც, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი თვლიდა, რომ კვლევის განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შემუშავებულიყო სხვადასხვა მექანიზმები, გარდა კონფერენციაზე წახალისებისა, მაგ., საჭირო იყო უნივერსიტეტს დააფინანსებინა მათ მიერ შეთავაზებული კვლევითი პროექტები ან უბრალოდ გამოეცხადებინა კონკურსი, რომ მათ უფრო მეტი სარგებელი და მოტივაცია ჰქონოდათ დაწესებულების მხრიდან, აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტების მხრიდან ნაწილობრივ შესრულებულად იყო ჩათვლილი.

რაც შეეხებოდა 6.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ კიდევ ერთ რეკომენდაციას, უცხოურ უნივერსიტეტებთან მემორანდუმები გადახედილი იყო და ჩამოყალიბებული იყო პროიორიტეტული უნივერსიტეტები, რომლებთანაც დაწესებულება აპირებდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის გაგრძელებას, რეკომენდაცია შეფასდა, როგორც შესრულებული.

უნივერსიტეტს უნდა ჩამოეყალიბებინა კონკრეტული რეგულაცია სამეცნიერო პერსონალის შეფასების მიზნით, დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, დადგინდა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა პროცესს ამ მიმართულებით, რომელშიც ჩართულები იყვნენ, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, ასევე კვლევისა და მხარდაჭერის განვითარების ცენტრი, ეს მონიტორინგი ფაქტობრივად მიმდინარეობდა და აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ რეკომენდაცია შესრულებული იყო.

რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას უნდა ჩამოეყალიბებინა კონკრეტული რეგულაცია ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაზე ჩართულობასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ასეთი წესი, რომელიც ითვალისწინებდა აღნიუშნულ პროგრამებსა და პროექტებში მათი ჩართულობის წახალისებასა და ზემოაღნიშნულ რეგულაციებს.

ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა ენობრივი უნარების განვითარებას მკვლევართა ჯგუფებში. ექსპერტის მოსაზრებით, არ იყო მარტივი რომ დაწესებულებას მოკლე დროში განეხორციელებინა ქმედითი აქტივობები და შეესრულებინა აღნიშნული რეკომენდაცია. შესაბამისად, საჭირო იყო უნივერსიტეტს გაეგრძელებინა ამ კუთხით მუშაობა და ხელი შეეწყო ამ პროცესისთვის. დაწესებულებას უნდა განეხორციელებინა ღონისძიენებეი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული პროცესში მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვას. რეკომენდაცია გაცემული იყო სტრატეგიასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა იმას, ექნებოდა თუ არა დაწესებულებას საშუალება შეემუშავებინა სტრატეგია, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა შეეფასებინა კვლევითი საქმიანობისა და განხორციელების ინტერნაციონალიზაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა აღნიშნული კვლევითი სტრატეგია, რომლის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში კვლევასთან დაკავშირებული მიდგომების განსაზღვრა და ასევე სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალში კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა და ამ აქტივობებზე პასუხისმგებელი ორგანოების/პირების იდენტიფიცირება.

რეკომენდაციები ძირითადად უკავშირდებოდა რეგულაციების შექმნის საკთხს და ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა გასცეს იყო, რომ იმპლემენტაცია/დანერგვა უნდა განხორციელებულიყო და უნივერსიტეტს აქტიურად მიეღო მონაწილეობა შემუშავებული დოკუმენტებისა და წესების დანერგვის პროცესში და შემდეგ ეჩვენებინა შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი რეკომენდაციები იყო, რომ დაწესებულებას ხელი შეეწყო მკვლევრებისთვის მათ საფუძვლიანად შეესრულებინათ თავიანთი საქმე და ასევე ეზრუნა მათი ენობრივი კომპეტენციის განვითარებისთვის.

საბჭოს წევრის, ნუგზარ სხირტლაძის თქმით ერთ-ერთი რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ ეთკის კომისიაში უნდა ყოფილიყო კლინიკური მედიცინის წარმომადგენელი, მას დააინტერესა რით იყო ეს ხაზგასმა განპირობებული.

ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ გამოითხოვეს ეთიკის კომისიის ოქმი და იყო ისეთი გადაწყვეტილებები მიღებული, რომლებიც შეეხებოდა მედიცინის მიმართულებასაც, შესაბამისად, ექსპერტებმა, რომელბმაც გასცეს აღნშნული რეკომენდაცია, მასზე მუშაობის თემატიკიდან გამომდინარე იყო, რომ თუ მედიცინის მიმართულებით ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება ეთიკის კომისიაში, დარგობრივი კუთხითაც უნდა ყოფილიყო მისი წარმომადგენელი.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ დასვა კითხვა, თუ როგორი იყო უცხოელი და ქართველი სტუდენტების თანაფარდობა, მან აღნიშნა, რომ ინტერესი გამოწვეული იყო თვითმმართველობაში მათი ჩართულობის ხაზგასმით.

ქეთევან აფთარაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა რაოდენობებთან დაკავშირებით ინფორმაციას მიიღეს უშუალოდ ინსტიტუციისგან და ამ შემთხვევაში ექსპერტებს მიეწოდათ პერსონალის მონაცემები, თუმცა როდესაც სტუდენტთა რაოდენობებსა და თანაფარდობებთან დაკავშირებით სჭირდებოდათ სტატისტიკური მონაცემების დადგენა ამ მიმართულებით სტატისტიკური მონაცემები არ იყო, ანუ ცენტრის მიერ არ იყო რეკომენდაცია გაცემული, რომ შევსებულიყო აღნიშნული ნაწილი, ამიტომ ექსპერტს არ შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ექსპეტის, გოდერძი ბუჩაშვილის მოსაზრებით რაოდენობის მიუხედავად, სტუდენტების ხმა ძალიან მნიშვნელოვანი იყო თვითმმართველობის კუთხით, რადგან უცხოელ სტუდენტებს პირველ რიგში სჭირდებოდათ დახმარება ქართულ კულტურასთან ადაპტაციაში, როგორ ხორციელდებოდა სასწავლო პროცესი, როგორი იყო სტუდენტური ცხოვრება, როგორ უნდა მოიქცეულიყვნენ, ასევე სჭირდებოდათ ინფორმაცია ამ ქვეყნის შესახებ. მისივე განმარტებით უცხოეული სტუდენტებიც რიგითი სტუდენტები იყვნენ და მათი ხმა აუცილებელი იყო, რომ დაფიქსირებულიყო თვითმმართველობაში, რადგან ეს მოთხოვნაც იყო და საჭიროებაც.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაეთანხმა ექსპერტებს, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებას უნდა ემუშავა, უნდა გაეზარდა ინფორმირებულობა, ხელი შეეწყო სტუდენტთა ჩართულობისთვის, თუმცა საბოლოოდ ჩართულობა მაინც სტუდენტების გადასაწყვეტი იყო და ამ მიმართულებით დაწესებულებას შეეძლო გარკვეული სამუშაოები განეხორციელებინა. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ეპასუხათ უცხოელ და ქართველ სტუდენტებს შორის თანაფარდობის შესახებ.

დაწესებულების რექტორი, როლანდ კოპალიანი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო საბჭოს უდიდესი ნაწილი უნივერსიტეტების წარმომადგენლები იყვნენ, აქედან გამომდინარე მიულოცა მათ ახალი სასწავლო წლის დაწყება.

მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა საკმაოდ ნათლად წარმოადგინა იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლებიც გაცემული იყო 2018 წელს ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ. მას შეეძლო ცალსახად აღენიშნა, რომ უნივერსიტეტმა ამ რეკომენდაციების გაცემის შემდეგ მაქსიმალური შეძლო იმ სამუშაოებისათვის. თანამშრომელთა მობილიზება, თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობა, რომელიც კონცენტრირებული იყო აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე, დაისახა სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისად უნივერსიტეტმა ყოველდღიურად შესაბამის სამსახურებთან ერთად წარმართა სამუშაოები, რათა ის ვალდებულებები, რომლებიც რეკომენდაციებში იყო აღნიშნული მაქსიმალურად შესაბამისობაში მისულიყო სტანდარტებთან, მათ ევალებოდათ ანგარიშის წარდგენა 1 წლის ვადაში 2019 წელს, რაც წარადგინეს შესაბამის ვადაში და მონიტორინგის კომისიის ვიზიტი 2 წლის თავზე, რაც 2020 წელს განხორციელდა და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტებს, საკმაოდ კვალიფიციური და პროფესიონალური საქმიანობსათვის.

რაც შეეხებოდა, ავტორიზაციის მიღების შემდეგ უნივერსიტეტში განხორციელებულ ღონისძებებს, ავტორიზაციის მონიტორინგის მოსვლამდე, რეკომენდაციის გაცემამდე იყო სამსახური, რომელიც პირდაპირ პასუხობდა რეკომენდაციას და მის უმთავრეს სამუშაო მიზნად დასახული იყო უცხოელი სტუდენტების საქმიანობისა და სწავლის პროცესის გააქტიურება, მათთან ინფორმაციის მიტანა, საინფორმაციო კამპანიის გააქტიურიება,

კარიერული განვითარების სერვისები, კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა და სხვა ღონისძებები, რომლებიც ამ სამსახურში გააქტიურდა, სამსახური მაღალ დონზე ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სტრუქტურულ ცვლილებებში პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრისა და ენების შემსწავლელი ცენტრის შექმნა, რაც პირდაპირ კავშირში იყო იმ რეკომენდაციებთან, რომლებიც გაცემულ იქნა ავტორიზაციის პროცესში. ამ სამსახურების აქტიური მუშაობის შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა არაფორმალური განათელბის ტრენინგ-კურსები, შემუშავდა მოდულები, დაიგეგმა პროფესიული პროგრამები და და დაიწყო მათი განხორციელება. რაც მთავარია, ენების შემსწავლელი ცენტრი ორიენტირებული იყო როგორც აკადემიურ ისე მოწვეულ თანამშრომლებისა და სტუდენტებზე. აღნიშნა ის ფაქტიც, რომ აკადემიური პერსონალისთვის უცხო ენის კომპეტენიციის გაზრდას აფინანსებდა თვითონ დაწესებულება. მისი თქმით ეს არ იყო ერთჯერადი პროცესი, ეს გრძელდებოდა და პერსპექტივაში ხელი უნდა შეეწყო ინტერნაციონალიზაციის საკითხის გააქტიურებას. რაც შეეხებოდა, ერთ-ერთ უმთავრეს რეკომენდაციას, რომელიც უკავშირდებოდა უცხოელი სტუდენტების ჩართვას თვითმმართველობაში, აღნიშნული რეკომენდაცია, არ შესრულდა, არა იმიტომ, რომ დაწესებულებას არ სურდა, არამედ ისინი მაქსიმალურად იყვნენ დაინტერესებულნი და ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ უცხოელი სტუდენტები ჩართულიყვნენ სტუდენტურ ცხოვრებასა და საქმიანობაში, თუმცა დაწესებულების ხელთ არსებული ბერკეტები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირებაში მიეღოთ რაიმე სახის მონაწილეობა, მათი ძირითადი ბეტკეტები იყო ინტენსიური და აქტიური საინფორმაციო ხასიათის კამპანია, რაც რეკომენდაციების გაცემამდეც ხორციელდებოდა და მას შემდეგ კიდევ უფრო აქტიური გახდა. მათი აზრით აქტიური კამპანიის შედეგად უცხოელი სტუდენტები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი კონფერენციებში, „ტუტორინგში“, სხვადასხვა სახის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და უნივერისტეტის წარმომადგენლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ როდესაც ჩატარდება არჩევნები, მათი აქტიური საინფორმაციო კამპანიის ხარჯზე უცხოელი სტუდენტებიც მიიღებდნენ მონაწილეობას და რეკომენდაცია შესაძლებელია შესრულებულად ჩათვლილიყო. რაც შეეხებოდა უცხოელი სტუდენტების თანაფარდობას ეს იყო სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4% - 300 სტუდენტი, თუმცა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე 2018-2019 წლებში, რადგან სტუდენტების რაოდენობა იყო მზარდი.

რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ეთიკის კომისიას აბსოლუტურად სამართლიანი იყო. ეთიკის კომისია შედგებოდა 5 წევრისაგან, ერთ წევრს ირჩევდა რექტორი, მეორეს - აკადემიური საბჭო, მესამეს - წარმომადგენლობითი საბჭო, მეოთხეს - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მეხუთეს - სტუდენტური თვითმმართველობა, რეკომენდაციის თანახმად აუცილებელი იყო და დაწესებულების რექტორიც დაეთანხმა, რომ კონკრეტული შემთხვევების გამო ეთიკის კომისიაში ყოფილიყო ერთი კლინიცისტი/აკადემიური პერსონალი, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და ეთიკის კომისია დაკომპლექტდა 5 წევრით, მათ შორის ერთი იყო საკმაოდ ცნობილი კლინიცისტი - გია გაბუნია. აღნიშნა, რომ მათ ეს რეკომენდაცია გადაჭარბებით შეასრულეს, ერთი არის სტუდენტი მედიცინის ფაკულტეტიდან და მეორე პროფესორი, აკადემიური პერსონალიდან, ამის გათვალისწინებით, ფიქრობდა, რომ იყო შესაძლებლობა ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული რეკომენდაცია ჩაეთვალა შესრულებულად.

მან აღნიშნა, რომ მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ სწორად იქნა აღნიშნული, ის საკითხები და ღონისძიებები, რომლებიც გატარდა, უნივერსიტეტში შემუშავდა კვლევის პოლიტიკა, სტრატეგია, კვლევითი პროფილების პრიორიტეტული მიმართულებები. რექტორმა სიტყვა გადასცა აღნიშნული სამსახურის უფროსს, თამთა კობახიძეს, რომელმაც რექტორის განმარტებით, კოლოსალური შრომა გასწია დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან ერთად.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, თამთა კობახიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, იმ თანამშრომლობითი დამოკიდებულებისა და პროფესიონალიზმისათვის, რაც მათ დაწესებულებაში მუშაობისას გამოიჩინეს, ასევე მათ დაინახეს რამხელა შრომა გასწია დაწესებულებამ წელიწადნახევარში (და არა ორ წელში). მან განაცხადა, რომ თვითშეფასების ანგარიშში გამოვლენილი ჰქონდა თითქმის ყველა რეკომენდაცია, რაც მიიღეს, უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა დანახული, რომ ამ მიმართულებთ სჭირდებოდათ განვითარება. მისი თქმით, დაახლოებით ორი წელია თანამშრომლობდა აღნიშნულ უნივერსიტეტთან და თვითშეფასების გუნდის საქმიანობიდან გამოვლინდა ის საჭიროება, რომ უნივერსიტეტს უნდა ჰქონოდა ერთეული, რომელიც კვლევის განვითარებას შეუწყობდა ხელს, ამიტომ შეიქმნა კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა, რომ ამ კუთხით, ტექნიკური მხარდაჭერა გაეწია დაწესებულებას.

კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის შექმნის შემდეგ, პირველი რაც გააკეთეს იყო კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმის შექმნა და ძალიან დიდი ტექნიკური სამუშაოს ჩატარება, კვლევასთან დაკავშირებული ყველა აქტივობის სტატისტიკურად აღწერა და აღნუსხვა, რათა ეპასუხათ რეკომენდაციისთვის, რომელიც კვლევის პროცესის მონიტორინგს გულისხმობდა და უკეთ წარმოეჩინათ მათი საჭიროებები. მაგ., მათ აიღეს ყველა აკადემიური პერსონალის რეზიუმე განიხილეს დეტალურად და გადაამოწმეს ყველა ჟურნალი/პუბლიკაცია, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით დაალაგეს მონაცემები, რამდენი იყო ფაკულტეტის მიხედვით, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში მათი მაჩვენებელი, საქართველოში რეფერირებულ ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი. რა ინტერესებიც ჰქონდა ფაკულტეტებს ამ კრიტერიუმებისა და ზოგადი კრიტერიუმების მიხედვით დაალაგეს ეს ინფორმაცია და შემდეგ დაახლოებით ერთ წელში გააკეთეს პრეზენტაციები ფაკულტეტებზე.

პარალელურად მიმდინარეობდა ფოკუს-ჯგუფები ფაკულტეტებზე, რათა რაოდენობრივი მონაცემების შევსება მოეხდინათ თვისებრივი მონაცემებითაც, რა საჭიროებები ჰქონდათ მათ კვლევაში და რა საჭიროებებიც გამოვლინდა. დაიწყეს მუშაობა მახარდაჭერის ღონისძიებების სახით, რაც მათ დაეხმარათ, რომ უფრო აქტიურად წარმარემართათ კვლევითი საქმიანობა, ისნის არ დალოდებიან კვლევის ანგარიშის გამოქვეყნებას და მათ კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი გვერდზე მუდმივად განათავსეს ორი ღია ბმული და როგორც კი აღნიშნულ ბმულზე რეგისტრირებული ადამიანების რაოდენობა შეივსებოდა, ან დარეგისტრირდებოდა 20 მსურველი კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი მაშინვე სთავაზობდა იმ ტიპის სერვისს რა ტიპის დახმარებასაც ეს ადამიანები მოითხოვდნენ კვლევის მიმართულებით. მაგ., ადგილობრივი გრანტების მოპოვების კუთხით თუ სჭირდებათ განაცხადის მომზადებაში დახმარება, საერთაშორისო გრანტების მოძიებაში დახმარება, თავის სფეროში არსებული სიახლეებისა და კვლევითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღება, ჩამოყვანილი ყავდათ პედაგოგიურ სფეროში აღიარებული მეცნიერები, ვისაც ამაში გამოცდილება ქონდა და ჩაატარეს „ვორქშოფები“. ასევე, დაიწერა კვლევის ვრცელი ანგარიშიც, რომელიც ფაკულტეტებს კი არ წარმოაჩენდა, არამედ გააერთიანა ზემოაღნიშნული მონაცემები, დასკვნა წარუდგინეს ადმინისტრაციას და გასცეს რეკომენდაციები, რომ კონკრეტული პუნქტები იყო გასაუმჯობესებელი, საჭირო იყო რომ აქედან „ამოქაჩულიყო“ ყველაფერი და დაიწყეს კიდეც ყველაფრის გაკეთება და ყველა რეკომენდაცია სრულად იქნა გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ.

მეორე დიდი საქმიანობა იყო პროფილების დაკონკრეტება ფაკულტეტებზე, ჰქონდათ შეხვედრები და ფაკულტეტის საბჭოებმა თვითონ იმუშავეს აღნიშნულ საკითხზე. მესამე დიდი თემა იყო, კვლევის განვითარების სტრატეგიის შექმნა, რომელიც აზუსტებდა მათ უკვე

არსებულ კვლევის პოლიტიკას და განსაზღვრავდა ვინ იყო ხარისხობრივ მაჩვენებლებზე პასუხისმგებელი, ვინ იყო ტექნიკურ მხარზე პასუხისმგებელი და ა.შ. 2020 წლის მაისში, როდესაც წარადგინეს ანგარიში, ამით პროცესი არ დასრულებულა, ორი დიდი პროექტი უკვე დაგეგმილი იყო და შეთანხმებაც მიღწეული იყო ადმინისტრაციასთან, ორ საპილოტე ფაკულტეტზე დაგეგმილი იყო „ექშენ რისერჩის“ მსგავსი დიდი კვლევის ჩატარება და წლის ბოლოს შედეგების დადება, ასევე, მათ ხელში არსებული ტექნიკური ბაზის ერთ პროგრამულ სივრცეში მოქცევა, რომ ავტომატური განახლების რეჟიმში დაწყებულიყო და ხელით აღარ დასჭირვებოდათ ბევრი სამუშაოს შესრულება. თავდაპირველად დაიწყეს ინფორმაციის შეკრება და ძალიან დეტალურად ჩაეძიენ იმ საკითხს თუ საით უნდა წასულიყვნენ, შემდეგ უკვე ფიქრობდნენ განვითარების კონკრეტულ გზაზე.

მისი განმარტებით, კვლევა რთული და დიდი თემა იყო, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები 2018 წელს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე იყვნენ, პრეზენტაციაშიც ახსენეს, რომ ყველა უნივერსიტეტს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ესაჭიროებოდათ დახმარება კვლევის მიმართულებით. ეს არ იყო ერთი დაწესებულების პრობლემა, მთელი პოლიტიკა ამაზე მუშაობდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფონდიც, რომ როგორმე კვლევის მიმართულება თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებს მიეახლოვებინათ. დაწესებულება ამ კუთხით ოყო მობილიზებული და ჩართული რამდენიმე პროექტში, მაგ., Erasmus+ის პროექტში, სადაც სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იყვნენ, რაც გულისხმობს დიდი საერთო ბაზის შექმნას, რომელიც უფრო გაამარტივებდა ამ კუთხით ოპერირებას.

თამთა კობახიძემ მიმართა საბჭოს, რომ მათ ალბათ წარმოუდგენიათ თუნდაც ერთი კვლევის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება რამდენი საფეხურის გავლასთან იყო დაკავშირებული, რამდენ ადამიანთან შეთანხმებას, უკუკავშირს, საბჭოსთან შეთანხმებას მოითხოვდა, ნაბიჯ-ნაბიჯ ეს ყველაფერი სამოქმედო გეგმაშიც იყო გაწერილი, რაც ექსპერტებმაც იხილეს. მან, ასევე აღნიშნა, რომ ეამაყება ის, რაც მოასწრეს/გააკეთეს და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტებს, რომ დაინახეს ეს ყველაფერი. დაწესებულებამ გაიუმჯობესა შეფასების კატეგორიები მეექვსე სტანდარტში, მაგრამ მეტწილად შესაბამისობა დარჩა უცხო ენის კომპენტენციის გამო, ეს არის მკვლევრებში, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში უცხო ენის კომპეტენციის გაუმჯობესება, ზოგადად უცხო ენის საკითხი დროში გაწელილი საკითხი იყო და როგორც რეტორმაც აღნიშნა მათი ცენტრის ფორმირება მოახდინეს უნივერსიტეტში და დგამენ ამ კუთხით ნაბიჯებს, რომ მათაც უნდოდათ და ესმოდათ, რომ თუ კი ძალიან კარგად არ გააუმჯობესებდნენ ამ კომპეტენციას გავლენას მოახდენდა სასწავლო პროცესზე, კვლევაზე და ა.შ. ამის გამო მაქსიმალურად ცდილობდნენ, თუმცა წელიწადნახევარში შეუძლებელი იყო რაიმეს მოსწრება და ექნებოდა მხოლოდ ფორმალური სახე, რომ საბჭოს წევრებისთვის ციფრები ეჩვენებინათ, რამდენმა სტუდნეტმა გაიარა B1 ან B2 კურსი.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით მონიტორინგის მიზანი იყო, რომ დაწესებულებას ეჩვენებინა დადებითი დინამიკა და საბჭოსაც დაენახა ამ მიმართულებით განვითარებაზე ორიენტირებულობა, მათ ყველას ესმოდათ, რომ ეს არ იყო ერთჯერადი პროცესი და მარტო ნორმატიული აქტების მიღება არ იყო მნიშვნელოვანი. მათი გადანერგვა და პრაქტიკაში განხორციელება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ისევე როგორც ენის კომპეტენციის გაზრდა ხანგრძლივი პერსპექტივა იყო, უბრალოდ დაწესებულებას უნდა ქონოდა ეს გააზრებული, რომ ეს მხარდაჭერა მუდმივად უნდა გაგრძელებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძის თქმით დაწესებულების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ გამოიკვეთა პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები, სთხოვა მათ დაესახელებინათ რამდენიმე მათგანი.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, თამთა კობახიძემ მადლობა გადაუხადა შეკითხვისთვის და განმარტა, რომ მათ კვლევით სტრატეგიაში აღნიშნულ ჰქონდათ, რომ ორიენტირებულნი იყვნენ რეგიონულ და ინტერდისციპლინურ კვლევებზე, ეს შედგა საერთო ფაკულტეტების შეთანხმების შედეგად, თუმცა ფაკულტეტებს თავიანთ პროფილში დაზუსტებული ქონდათ კონკრეტულად რას გულისხმობენ. უნივერსიტეტის ზოგადი მიმართულება კი იყო რეგიონული და ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ იკითხა არსებობდა თუ არა რაიმე ბაზა, რომელიც არეგულირებდა ეთიკის კომისიაში დარგობრივად მაინცდამაინც მედიცინის მიმართულების სპეციალისტის არსებობას ან არ არსებობას, მან გააგრძელა ნუგზარ სხირტლაძის მიერ დასმული კითხვა, არსებობდა თუ არა სამართლებრივი აუცილებლობა, რომ ეთიკის კომისიაში უნდა ყოფილიყო მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელი, მისი აზრით ასეთი აუცილებლობა არ არსებობდა, ეს ფაქტი ალბათ თითეული კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ თავისებურებაზე მეტყველებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზოგადი მოთხოვნა არ არსებობდა, როგორც წესი თუ დარგობრივ საკითხთან არის დაკავშირებული შესაძლოა ინდივიდუალურად განსაზღვრულიყო რექტორის მიერ, როცა ის ქმნიდა ეთიკის კომისიას კონკრეტული შემადგენლობით, თუმცა მისი აზრით დაწესებულებამ გაითვალისწინა 2018 წელს ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია, რაკი ეთკის კომისიაში შემთხვევები იყო დარგობრივთან, ამიტომ შეიყვანა მედიკოსი შემადგენლობაში.

რექტორმა, როლანდ კოპალიანმა განაცხადა, რომ ასეთი ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე არ არსებობდა, ეს იყო სარეკომენდაციაო ხასიათის სურვილი, რადგან მისი აზრით ეს არ იქნებოდა ყველა უნივერსიტეტისთვის საჭირო, მათთვის კი საჭირო იყო, რადგან კონკრეტულ სიტუაციებში ეთიკის კომისიაში მიმდინარე პროცესები დაკვშირებული იყო სამედიცინო ფაკულტეტის შიგნით არსებულ საკითხების განხილვაზე.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ის დაინტერესდა ეთიკის კომისიის მიერ შესწავლილი საკითხებიდან პროცენტულად რამდენი მოდიოდა მედიცინის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შესწავლაზე, რადგან დადგა აღნიშნული რეკომენდაციის გაწერის საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მათ გამოითხოვეს 4 წლის განმავლობაში ჩატარებული ეთიკის კომისიის სხდომის ოქმები, სულ 8 საკითხი იყო განხილული და 2 მათგანი იყო მედიცინის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ საერთო ჯამში კარგი იქნებოდა დაწესებულებისთვის, რომ ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელი ყოფილიყო წარმოდგენილი და ამ შემთხვევაში ბალანსი იქნებოდა დაცული.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ დააზუსტა ამიტომ დადგა თუ არა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით ამიტომ დადგა, თუმცა მათ შეისწავლეს უკვე გაცემული რეკომენდაცია, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფსაც გაუჩნდა ეს კითხვა და აქედან გამომდინარე გამოითხოვეს ექსპერტთა კომისიის ოქმებიც და ნახეს, რომ რამდენიმე მედიცინის მიმართულებით საკითხებს შეეხებოდა, ერთ-ერთი იყო პლაგიატის საკითხი და მისი აზრით, სწორედ აქედან გამომდინარე ჰქონდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული რეკომენდაცია, რომ საკითხების განხილვის დროს ჩაერთოთ ეთიკის კომისიაში წევრები მედიცინის მიმართულებიდან.

საბჭოს წევრის, დავით ბოსტოღანაშვილის თქმით ეს მაინც დაწესებულების დისკრედიტაციად შეიძლება ჩათვლილიყო, რადგან მას შეეძლო თვითონ დაეკომპლექტებინა კონრეტული საკითხის სფეციპიკიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაეთანხმა დავით ბოსტოღანაშვილს, რადგან მისი მოსაზრებით, ეს დაწესებულების უფლება იყო, რომ ჩაერთო ან არ ჩაერთო კონკრეტული მიმართულებებით და რეკომენდაციის სახით ასე ემპირიულად განცხადება, რომ აუცილებლად მედიცინის დარგის წარმომადგენელი უნდა იყოს ეთიკის კომისიაში, გადაჭარბებულად ეჩვენებოდა.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაცია ლამის სავალდებულო ხდებოდა უმაღლესი დაწესებულებებისთვის და სწორედ ამიტომ დაინტერესდა აღნიშნული საკითხით.

საბჭოს წევრი ირაკლი კოხრეიძე დაეთანხმა ნუგზარ სხირტლაძეს.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაეთანხმა დავით ბოსტოღანაშვილს, რომ ეთიკის კომისიას ქმნიდა დაწესებულება, თუმცა რომ არ ყოფილიყო ეთკის კომისიის წევრად ამათუიმ სფეროს წარმომადგენელი, ეთიკის კომისიას შეეძლო მოეთხოვა ექსპერტი/სპეციალისტი, რაც გაწერილი იყო რეგულაციებში.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა მედიცინისა და ბიომედიცინის მიმართულებით კვლევებს, სტრასბურგის კონვენცია ამბობდა, რომ ყველა შემთხვევაში, დაგეგმარების ეტაპზეც კი, აუცილებელი იყო მედიცინის წარმომადგენლის ჩართვა. ამ შემთხვევაში საბჭოს წევრი მიესალმებოდა უნივერსიტეტის გადაწყვეტილებას, რომ მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია, თუმცა ის ეთანხმებოდა კოლეგებს, რომ შეიძლებოდა ეთიკის კომიის კონკრეტულ საკითხე გარე დამკვირვებლის მოწვევა.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაანალიზა საკუთარი გამოცდილება და საბოლოო ჯამში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა თანხმდებოდნენ, რომ ამის ვადებულება არ ჰქონდათ.

მაია მანწავა დაინტერესდა, როგორ განახორციელებდა უნივერსიტეტი სამედიცინო მიმართულების კვლევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს იყო ეთიკის კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა იყო თუ არა ეს ეთიკის კომისიის დღის წესრიგი, იმ შემთხვევაში თუ მედიცინის მიმართულებით კვლევითი საქმიანობის ეთიკური ასპექტების დარღვევების შესწავლა იქნებოდა საჭირო. მას დააინტერესა ის 2 თუ 3 შემთხვევა ეხებოდა თუ არა კვლევას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით დასკვნაშიც იყო აღნიშნული, რომ ეთიკის კომისიის შეეხებოდა მედიცინის ფაკულტეტის მიერ ერთობლივი კვლევითი პროექტის ეთიკურობის კვლევის გეგმის სამეცნიერო ღირებულებისა და ნაციონალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხებს, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა აქტუალურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ეს არ შეეხებოდა კვლევას, რადგან უნივერსიტეტში არ ატარებდნენ კლინიკურ კვლევებს, ატარებდნენ მხოლოდ ეპიდემიოლოგიურ კვლევებს.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ განაცხადა, რომ ყველა იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალი მოითხოვდა ეთიკის კომისიის დასკვნას.

თამთა კობახიძეე დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ იმ კომისიის არსებობა, რაც მან აღნიშნა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალთან დაკაშირებით ფაკულტეტზე ცალკე იყო დაგეგმილი მისი შექმნა, რომელიც ეთიკის კომისიაში არ მოიაზრებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა ეს საუნივერსიტეტო ეთიკის კომისია, რაზეც თამთა კობახიძისგან მიიღო თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კიდევ ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 15:03 წუთზე.
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 15:10 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეიმჩნეოდა დადებითი დინამიკა, კერძოდ, ნათელი იყო, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა და მონიტორინგის შედეგად დაწერილი შეფასებაც დადებითი იყო. შესაბამისად ეს ადასტურებდა იმას, რომ დაწესებულებამ 2018 წლის ავტორიზაციის საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესსრულებლად დაგენილი პერიოდი კარგად გამოიყენა, საკითხები რაც ექსპერტებმა დასვეს, განმავითარებელი იყო დაწესებულებისთვის და დაწესებულებას ეს რეკომენდაციები უნდა გამოეყენებინა, რათა უსდ მუდმივ რეჟიმში უნდა ვითარდებოდეს. მისივე განმარტებით, ენის კომპეტენციის ამაღლებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო და დაწესებულება ამ მიმართულებით პროფესორიებისა და სტუდენტების მხარდაჭერას მუდმივად უნდა ავლენდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ: 212693049) მონიტორინგთან დაკავშირებით.

**2. შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგან მანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.**

**3. შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათ ლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-3 საკითხი, შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების დამატების საკითხი ერთი წარმოების ფარგლებში იქნა შესწავლილი და ერთი დასკვნა შედგა, განიხილებოდა ერთად, ხოლო გადაწყვეტილება თითოეული პროგრამის დამატების თაობაზე მიღებული იქნებოდა ცალკ-ცალკე.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ, რადგან იყო დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე წარმოდგენილ განაცხადს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციასა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კავკასიის უნივერსიტეტისთვის სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო და ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების ავტორიზაციის რეჟიმში დამატების მიზნით შეფასებას, ვიზიტი განხორციელდა 6 ივნისს, დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების ზუმის (Zoom Meeting) გამოყენებით, წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ყველა დაინტერესებულ მხარეს. ვიზიტის მსვლელობის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მიწოდება კავკასიის უნივერსიტეტმა დროულად და სრულად უზრუნველყო. ვიზიტის მიზნიდან გამომდინარე შეფასდა ყველა სტანდარტი II სტანდარტის II კომპონენტის გარდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ შეფასების ფარგლებში, რეკომენდაციებთან და რჩევებთან ერთად გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკაც, კერძოდ კავკასიის უნივერსიტეტში შემუშავებული იყო სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისათვის სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებით ხდებოდა დამტკიცებული სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ინფორმაციის გადატანა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ეფექტური მონიტორინგისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ:

- გაძლიერდეს და მკაფიოდ განისაზღვროს სკოლების ჩართულობა და როლი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში, პროგრამის შეფასების პროცესში;
- დაწესებულებამ მიმართოს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი აკადემიური პერსონალის ჩართულობისა და მონაწილეობის მაჩვენებელის გაზრდისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესებში;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები, კერძოდ, სხვადასხვა ტიპის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული შესაძლო სანქციები, რაც გაზრდის დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროცესის შესახებ და მეტ სიცხადეს შესძენს დისციპლინურ წარმოებასა თუ წარმოებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს საგანმანათლებლო (სამაგისტრო და საბაკალავრო) პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების, კერძოდ აკადემიური პერსონალის ჩართულობა;
- რეკომენდირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრების სწავლის შედეგების იმგვარად ფორმულირება, რომ გამარტივდეს სწავლის შედეგების გაზომვა და ასევე მათი შეფასება;

- რეკომენდირებულია გამოყენებული ლიტერატურის განახლება როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამისათვის;
- რეკომენდირებულია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასტუმროში, ტურისტულ კომპანიაში ან სხვა ტურისტულ ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის შეთავაზებით პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება;

- რეკომენდირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული კურსის სპეციფიკა;
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის აფილირებული და აკადემიური პერსონალის მიერ;
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება მათი უფლებების, ისევე როგორც უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;
- უცხოელი სტუდენტების ხელშეკრულებაში, სასურველია აისახოს სტუდენტთა უფლება, ისარგებლონ უნივერსიტეტის დაფინანსებით, როგორც ეს არის განსაზღვრული ქართველი სტუდენტების ხელშეკრულების შემთხვევაში. ამასთან, ორივე ხელშეკრულებაში აისახოს გამოცდის გადაბარების ღირებულება;

- რეკომენდირებულია როგორც უნივერსიტეტის, ასვე, სგანამანათლებლო პროგრამების ბიუჯეტებში მკაფიოდ განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს იყო ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა საბაკალავრო პროგრამას, თუმცა ამ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეხებოდა სამაგისტრო პროგრამასაც, ასევე ცალკე გამოყო სამაგისტრო პროგრამისათვის გაწერილი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გადამუშავდეს სამთო ტურიზმის სამაგისტროპროგრამის სასწავლო კურსების ,,ტურიზმის ეკონომიკა, სტატისტიკა ბიზნესში, ტურიზმის მარკეტიგი, ტუზრიმის სტრატეგიული მენეჯმენტი, ტურიზმის კვლევის მეთოდები, Destination Development and Management“ სილაბუსები და მოხდეს მკაფიო გამიჯვნა საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსებისაგან სწავლის შედეგების, მიზნების, გამოყენებული ლიტერატურისა და შინაარსის სირთულის მიხედვით და უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა;
- სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გაძლიერება კვლევის გამცდილების და შესაბამისი კვალიფიკაციის (დოქტორის აკადემიური ხარისხი) მქონე პირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შეჯამების სახით განაცხადა, რომ მიუხედავად რეკომენდაციებისა, რომლებიც გაუმჯობესებას ემსახურებოდა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ქონდა რესურსი, როგორც სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის, ასევე ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმში დამატებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მხოლოდ დავით სიხარულიძე იყო თუ სხვა ექსპერტებიც იყვნენ ჯგუფში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯგუფს ყავდა სამი წევრი, დავით სიხარულიძე, გოჩა თუთბერიძე და თინათინ გაბრიჩიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხვა ექსპერტებს ხომ არ სურდათ რაიმე მოსაზრების დამატება განსახილველ საკითხთან მიმართებით. ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამომწურავად გადმოსცა ყველა მოსაზრება იმ დასკვნის თაობაზე, რომელიც ერთად შეიმუშავეს, ეს იყო ექსპერტების შეჯერებული პოზიცია და შესაბამისად არაფრის დამატება არ სურდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები რეკომენდაციებთან დაკავშირებით ორივე პროგრამასთან მიმართებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომის, რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის.

მან განაცხადა, რომ შეეცდებოდა მიმოეხილა დაწესებულების პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რაც არგუმენტირებულ პოზიციაშიც დეტალურად იყო მოყვანილი, რომელსაც საბჭოს წევრები უკვე იცნობდნენ.

დიანა მჭედლიშვილი პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეალურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობდა ორი ტიპის სისტემა: ერთი იყო ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალიზებული სისტემა და მეორე, რომელიც ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს საფაკულტეტო დონეზე. კავკასიის უნივერსიტეტი წლების განმავლობაში მუშაობდა ცენტრალიზებული ხარისხის მართვის სისტემით და პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს არ ყოფილა შემაფერხებელი ფაქტორი, პირიქით მოკლე პერიოდში საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება შეძლო ხარიხსის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, 25 პროგრამის ერთ წელში აკრედიტაცია, საპილოტე ავტორიზაციის გავლა, ავტორიზაციისთვის მომზადება, პროგრამების დამატება, შესაბამისად სისტემა არ იყო შემაფერხებელი. სისტემა თუ არაეფექტურად იმუშავებდა, მიმართავდნენ მმართველ საბჭოს და უნივერიტეტის პრეზიდენტს აღნიშნული საკითხის გადახედვისთვის, თუმცა მას სურდა გაესვა ხაზი, რომ სკოლის დონეზე ძალიან აქტიურად იყო ჩართული სკოლის ამინისტრაცია აღნიშნულ საკითხებში, რაც ასევე აღნიშნული იყო არგუმეტირებული პოზიციის დოკუმენტში, რაც მათ სამუშაო აღწერილობაში პუნქტობრივად იყო გაწერილი, ასევე დამატებით იყო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორები, რომლებიც ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ყველა ეტაპზე, ამრიგად ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ უნდა ეფიქრათ, თუმცა სისტემა გამართულად მუშაობდა და ჯერჯერობით მისი ცვლილება არ იგეგმებოდა.

დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მეორე და მეოთხე რეკომენდაცია შინაარსობრივად პრაქტიკულად ერთიდაიგივე იყო გულისხმობდა აკადემიური პერსონალის ჩართულობას პროგრამების შემუშავებაში. აღნიშნული პროგრამების დამატება გადაწყდა 2020 წლის გაზაფხულზე, როდესაც უკვე იყო პანდემიის პერიოდი, დაწესებულებამ ყველაფერი გააკეთა აქტიური ჩართულობისთვის და ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას, ჩართულობა იყო როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის. ასევე დამატებით აღინიშნა, რომ პროგრამას სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ ყავდა, სესიებს ესწრებოდნენ ცენტრის მიერ შერჩეული მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები, შესაბამისად სესიებზე არ ყოფილან უშუალოდ ის სტუდენტები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში, შესაძლებელია ამას განეპირობებინა ექსპერტების მოსაზრება სტუდენტების ჩართულობის შესახებ. თუმცა მას სურდა სრული პასუხისმგებლობით განეცხადებინა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი სრულად იყო ჩართული, სპეციალური პლატფორმაც კი იყო, რომელზეც ისინი აკეთებდნენ კომენტარებს და მათი აქტიური ჩართულობით მოხდა ორივე პროგრამის

შემუშავება, ამ კუთხით მუშაობის გაგრძელება დაგეგმილი იყო, რადგან დიდი როლი ჰქონდა დაინტერესებული მხარეების ჩართვით პროგრამების განვითარებას და ამაზე ყურადღებას არ მოადუნებდნენ, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგაც იყო შეხვედრები და შესაძლებელი იყო დამატებით პროგრამის ხელმძღვანელსაც განეცხადებინა რა სამუშაოები განხორციელდა.

დიანა მჭედლიშვილმა, მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აკადემიური კეთილსინდიერების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმს, განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას ბევრი ჰქონდა ნაფიქრი და თვეების განმავლობაში ჩართულნი იყვნენ პროექტში რამდენიმე ქართულ და რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან ერთად და აკადემური კეთილსინდისიერების დოკუმენტი შექმნეს უცხოელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით, თუმცა იყო მცდელობა რომ დოკუმენტი მეტად დაკონკრეტებულიყო დარღვევებზე შესაბამისი რეაგირების/ზომების დადგენის კუთხით, რაც შეიძლებოდა გარკვეული თვალსაზრისით შემბოჭველი ყოფილიყო კომისიის წევრებისთვის, რადგან ვერ განიხილავდნენ ყველა შემთხვევას, პროცესის მიხედვით ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქმედების ჩამდენი პირის ჩართულობას, რაც გაწერილი ჰქონდათ არგუმენტირებულ პოზიციის დოკუმენტში დეტალურად. ხარისხის დეპარტამენტის დირექტორმა დაამატა, რომ უშუალოდ კომისიის სხდომაზე ხდებოდა პირების მოწვევა, იქნებოდა ეს სტუდენტისა თუ თანამშრომლის შემთხვევა და კომისიის წევრები აქტიურად, გულისყურით უსმენდნენ მათ პოზიციას, შესაბამისად მათი ჩართულობიდან გამომდინარე შესაძლებელი იყო სხვა ჭრილშიც განეხილა კომისიას და ამიტომ ასეთი შემბოჭველი კლასიფიცირება ვერ მოხერხდებოდა, თუმცა თვითონ დოკუმენტში საკმაოდ დეტალიზებულად იყო გაწერილი ყველა შემთხვევა, მაგრამ არ იყო მიწერილი კონკრეტულ ქმედებაზე კონკრეტული სანქცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცუდი არ იქნებოდა სიმძიმის მიხედვით სტანდარტის შემუშავება. დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ გადახედავენ აღნიშნულ დოკუმენტს და იმუშავებენ მასზე.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მეხუთე რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც გულისხმობდა სასწავლო კურსების სწავლის დონესთან შესაბამისობაში მოყვანას, მყისიერად დაიწყო სკოლამ მუშაობა, როგორც უკვე განაცხადა ავტორიზაციის დროს აკეთებდნენ პაკეტს მაშინ შემუშავდა ეს პროგრამები და ვინაიდან ეს ავტორიზაცია პროცესები გადავადდა პანდემიის გამო, რომ სტუდენტები ვერ ჩამოდიოდნენ გადაწყვიტეს, რომ ეჩქარებოდათ და ცალკე შემოიტანეს და ავტორიზაციის გზით დაამატება გადაწყვიტეს.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, კახა შენგელია შემოუერთდა სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ავტორიზაციის გზით დაემატებინა პროგრამები, რადგან ავტორიზაცია უფრო ინსტიტუციური იყო და როდესაც პროგრამულ შემოწმებას გულისხმობდა რატომ არ წავიდნენ აკრედიტაციის გზით. მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ ამის უფლება, პროგრამის შემთხვევაში უფრო სრულფასოვანი გზა მაინც აკრედიტაცია იყო.

კავკასიის უნივერისტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ განაცხადა, რომ ეს მოხდა მხოლოდ სიჩქარის გამო, რომ სწრაფად მომხდარიყო ავტორიზაცია, რადგან მათ ელოდებოდა რამდენიმე პარტნიორი სხვადასხვა ქვეყნებში და უნდოდათ, ძალიან სწრაფად მომხდარიყო და პირველი სტუდენტები ჩამოეყვანათ სექტემბერში, ამ ყველაფრის დამთავრების შემდეგ დაგეგმილი იყო ასევე პროგრამების აკრედიტაცია, კახა შენგელიამ სხდომაზე დამსწრე პირებს მადლობა გადაუხადა ყველას და მიულოცა სასწავლო წლის დაწყება.

დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო აღნიშნულ სასწავლო კურსებთან მიმართებით და სიტყვა გადასცა პროგრამების ხელმძღვანელს, გიორგი ბრეგაძეს.

პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი ბრეგაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისთვის, რომლებიც მიმართული იყო განვითარებაზე და საშუალება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ პროგრამაები ბევრად უფრო ძლიერი და მოწესრიგებული ყოფილიყო. რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ რომ იქნა სრულად გათვალისწინებული, ლექტორებს ზუმის მეშვეობით ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, შედეგად ჩამოთვლილი საგნების შესაბამისმა ლექტორებმა კონკრეტული ტრენინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგაც გადაამუშავეს სილაბუსები, სამაგისტრო საფერხურის სილაბუსი განახლდა შესაბამისი ლექტორების მიერ საბაკალავრო საფეხურზე გამოყენებული სილაბუსებისგან, შესაბამისად მოცემული სილაბუსები სრულად შეესაბამებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს და მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისგან.

პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი ბრეგაძემ მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების გაზომვითობას აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებში ეწერა, რომ ამ მიმართულებით შესაძლებელი იყო ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება, მიიღეს მხედველობაში, რაშიც ხარისხი დაეხმარათ ზმნებთან დაკავშირებით და ზოგადად უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სწავლის შედეგების მოდიფიცირება მათი გაზომვადი ზმნების საშუალებით ფორმულირებასთან დაკავშირებით კანონმდებლობასთან დაკავშირებული გრაფიკების მიხედვით.

გიორგი ბრეგაძე მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ლიტერატურის განახლებას განაცხადა, რომ კავკასიის ტურიზმის სკოლამ მისი პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით გადაწყვიტა პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართული საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო სერტიფიცირება, რომლის აუდიტსაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აკადემია ახორციელებდა, უკვე წინასწარი დადებითი მესიჯებიც მიდიოდა და დიდი ალბათობით ამ სერთიფიკატს მიიღებდნენ, საერთაშორისო სერთიფიკატის სახელი იყო UNWTO TedQual, რეგიონში აღნიშნული სერთიფიცირების მიხედვით ერთ-ერთი პირველები იყვენენ, რაც მნიშვნელობას უფრო ზრდიდა, სკოლამ უკვე დაძლია პრეაუდიტის დონე და დაიწყო სრული აუდიტის გავლა, აღნიშნული აუდიტის წარმატებით განხორციელებისთვის სკოლამ მოიპოვა USID-ის დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც დაიქირავეს Solimar International, რომლის ექსპერტი იყო ჯორჯ ვაშინგტონის პროფესორი და ამ მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ ადამიანად ითვლებოდა, მან დაწესებულებას გაუწია რეკომენდაციები და მისცა ლიტერატურის ნუსხა, რომელიც გაიგზავნა აკადემიურ პერსონალთან, რომელთა სილაბუსებში გათვალიწინების შემდეგ მყისიერად ხდებოდა აღნიშნული ლიტერატურის შეძენა და ლიტერატურით თვითონაც ისარგებლა, მან ერთ-ერთი 2020 წლის წიგნი, უკვე შეიტანა თავის სილაბუსში, უნივერსიტეტს მადლობა გადაუხადა აღნიშნული წიგნის შეძენისთვის, უკვე მომავალი კვირიდან ამ წიგნით შეძლებდნენ სწავლებას.

დიანა მჭედლიშვილმა ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა შესყიდვების პროცესი და I, II კურსის წიგნები ყველა შეძენილი იყო.

უნივერისტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ განაცხადა, რომ 2020 წლის 15-16 სექტემბერს ისინი ელოდებოდნენ მსოფლიო დონის ორგანიზაციის პრეზიდენტს საქართველოში რომელიც პირველ რიგში მათან უნდა მისულიყო, რომელიც ალბათ გახსნიდა მათ ახალ პროგრამას

რომელიც სერთიფიცირებული იქნებოდა UNWTO TedQual მიერ, რომელიც უნდა ყოფილიყო არა მარტო საქართველოში პირველი, არამედ მთელ რეგიონში, აღნიშნა, რომ დიდი შრომა გასწიეს ამის მისაღწევად.

პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი ბრეგაძემ განაცხადა, რომ პარალელურად უწევდათ 2 ავტორიზაციაზე მუშაობა და ერთმანეთს ეხმარებოდნენ კიდეც, რა რეკომენდაციებიც იქ იყო დადებითად აისახებოდა ინგლისურენოვან პროგრამაზე და მთლიანობაში ის ფაქტი, რომ ქართულენოვანი პროგრამა ამით ისარგებლებდა და დამატებითი რეკომენდაციები იქიდანაც უნდა მოსულიყო, ეს აისახებოდა ინგლისურენოვანი პროგრამის გაძლერებაზეც.

გიორგი ბრეგაძე, მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შესაბამისი პრაქტიკების გავლას, აღნიშნა, რომ UNWTO TedQual-ის ექსპერტსაც და აუდიტსაც იგივე რეკომენდაცია ჰქონდა და თვითონვე ურჩია რა მიმართულებით გააკეტებინათ, დაიხვეწა კურიკულუმის შემადგენელი პრაქტიკული კურსი „სტაჟირება ტურიზმში“, რომელის ტუტორადაც წამყვანი ტურისტული კომპანიის დირექტორი განისაზღვრა, გარდა ამისა დაგეგმილი იყო სტანდარტული მემორანდუმების ჩანაცვლება სტაჟირებაზე ორიენტირებული მემორანდუმებით, ესეც უცხოელი აუდიტორის მიერ იყო შეთავაზებული, როდესაც ჰქონდათ კომუნიკაცია, რითი შეიძლებოდა სტაჟირების კომპონენტის გაძლიერება, მათი რჩევა იყო, რომ უფრო სტაჟირებაზე დაფუძნებულ მემორანდუმები გაეფორმებინათ.

პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი ბრეგაძემ, მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შეფასების სისტემაში კურსის სპეციფიკის გათვალისწინებას, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩატარდა ტრეინინგი, რომელიც მიუხედავადი იმისა, რომ ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩატარდა, მაინც ამაყობდა ამ ტრენინგით და ხარისხმაც დაწვრილებით ახსნა თითოეული დეტალი რა უნდა შეეტანათ სილაბუსში, რა მეთოდოლოგიით, რა ზმნები უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ვინაიდან ეს ყველაფერი ზააფხულში ხდებოდა, მთელი პერსონალი ერთად დასწრებას ვერ მოახერხებდა, ამიტომ გაკეთდა ვიდეო ჩანაწერი და თოთეულ პერსონალს, რომელიც ვერ ახერხებდა დასწრებას გადაუგზავნეს. აღნიშინა, რომ ტრენინგის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა თვითონაც და ტრენინგზე მიწოდებული იფორმაციის ასახვა და გადაგზავნა დაევალათ, რაც წარმატებით განხორციელდა. ასევე „დედლიანი“ ყველა კუთხით არ იქნა დაცული, მაგრამ ნელ-ნელა იღებდნენ დამატებით სილაბუსებს, თუმცა ეს იყო მუშა პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო და იცოდნენ როგორ უნდა გაეგრძელებინათ.

პროგრამების ხელმღვანელმა მე-10 და მე-11 რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პერსონალის შევსებას კვლევითი გამოცდილების პირებით და კურსების სწავლება აკადემიური და აფილირებული პერსონალის მიერ, აღნიშნა, რომ გამოიყენეს ის რესურსი, რაც ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაინტერესდა რამდენი პროფესორი ჰყავდათ პროგრამებზე.

გიორგი ბრეგაძემ უპასუხა, რომ ჰყავდათ ყველა პროფესორი, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობდა, საუბარი იყო დაახლოებით 4 ადამიანზე.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდიამ დაზუსტა თავისივე კითხვა. მისი კითხვა ეხებოდა იმას, თუ ამ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში რამდენი პირი იყო ჩართული, აქედან რამდენი იყო მათი აკადემიური პერსონალი და რამდენი მოწვეული.

ტურიზმის სკოლის დეკანმა, ნინო კალანდაძემ უპასუხა, რომ ჯამში რაოდენობა იყო 26, ეს იყო შიდა აკადემიური რესურსი და მოწვეული ლექტორები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, დიანა მჭედლიშვილმა მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სტუდენტების მათი უფლებების შესახებ ინფორმირებას განაცხადა, რომ 2019-2020 აკადემიური წლის განმავლობაში თითეული სკოლის სტუდენტებთან და პერსონალთან შედგა არაერთი შეხვედრა სკოლების მიხედვით, რომლებსაც ესწრებოდნენ, როგორც ომბუდსმენი, ასევე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, დიანა მჭედლიშვილიც, როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი და შესაბამისად დეტალურად იქნა ყურადღება გამახვილებული სტუდენტების უფლებებთან დაკავშირებით და მისთვის გაუგებარი იყო რატომ ვერ გამოამჟღავნეს სტუდენტებმა ცოდნა ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა შერჩეული სტუდენტების სიაში არ იყვნენ ისინი, ვინც ესწრებოდნენ შეხვედრას, მიუხედავად იმისა რომ ბევრჯერ ჩატარდა აღნიშნული შეხვედრა, მას მაინც არ ქონდა იმის მტკიცების საშუალება რომ ყველ სტუდენტი დაესწრო.

უნივერისტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ აზრით, მას არ ეგონა, რომ საქართველოში ბევრ უნივერსიტეტს ყავდა თავისი ომბუდსმენი (ამ შემთხვევაში ომბუდსვუმენი), მოსაწონი იყო თუ არა, ყველაფერი მიდიოდა ადმინისტრაციამდე, რადგან ძალიან აქტიური ომბუდსვუმენი ყავდათ და ძალიან აქტიურად იყვნენ სტუდენტები ჩართულნი, ყველაფერი იცოდნენ და ყველაფერზე ქონდათ თავისი აზრი. აღნიშნა, რომ ომბუდსვუმენის ოფისს ყავდა სამართლის სკოლის სტუდენტები „დაქირავებული“ და ისინი ეხმარებოდნენ, როგორ უნდა წარემართა მათი საქმეები დაწესებულების „საწინააღმდეგოდ“, ძალიან ჯანსაღი სიტუაცია იყო ამ მხრივ დაწესებულებაში და არაფერი რჩებოდა მათ გარეშე.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ 30-ზე მეტი შეხვედრა იქნა ჩატარებული, ამის დამადასტურებელი ხელმოწერებიც არსებობდა და ქონდათ შესამისი დოკუმენტაცია, აკადემიურ პერსონალთან საუბარი იყო მათ უფლებებზე, აფილირების წესებზე-პირობებზე, აკადემიურ კონკურსში შესარჩევ წესზე და პირობებზე, რომ მაგ., რა უნდა შეესრულებინათ, რომ ასოცირებული პროფესორიდან ასულიყვნენ სრულ პროფესორის თანამდეობაზე.

დიანა მჭედლიშვილმა მე-13 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უცხოელი სტუდენტების კონტრაქტს, აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების ხელშეკრულებაში ნამდვილად არ ეწერა დაფინანსების შესაძლებლობა, თუმცა ეს რეგულირდებოდა ცალკე დებულებით, ეს იყო რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების წესი და აღნიშნიშნულ რეიტინგში ქართველი და უცხოელი სტუდენტები თანაბარი პირობებით სარგებლობდნენ, შესაბამისად ერთ ჭრილში განიხილებოდა. რაც შეეხებოდა გამოცდის გადაბარების ღირებულების ასახვას, ეს ცვალებდი იყო და რეგულირდებოდა უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით, მაგ., 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში საერთოდ უფასო იყო, შესაბამისად არ იქნებოდა მოქნილი და მოხერხებული, რომ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ყოფილიყო. რაც შეეხებოდა მე-14 რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ბიუჯეტში ინტერნაციონალიზაციის აქტივობების განსაზღვრას, ფინანსურ დეპარტამენტთან განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ შემოსავლების ფინანსურ ნაწილში იყო გათვლილი ინტერნაციონალიზაციის აქტივობები, თუმცა ხარჯვით ნაწილში არ დაკონკრეტებულა, თუმცა დეპარტამენტმა თქვა, რომ იფიქრებდნენ და ჩაშლიდნენ, რა თქმა უნდა უნივერსიტეტისთვის და შესაბამისად 7 წლიან ჭრილში უნივერსიტეტის შემოსავლების ნაწილი უკვე გათვლილი იყო ინტერნაციონალიზაციაზე, სტრატეგიულ გეგმაზეც და ბიუჯეტშიც ასახული იყო, ასევე ხარჯვით ნაწილშიც მოხდებოდა ამის ასახვა ფინანსური დეპარტამენტის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სამთო-ტურიზმის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაციებით, მიმართა პროგრამების ხელმძღვანელს, რადგან მან ბრძანა, რომ გადამუშავდა სილაბუსები, უნდოდა დაზუსტება, იყო თუ არა საუბარი იმაზე, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე ერთიდაიგივე სილაბუსები ქონდათ, თუ რა მდგომარეობა იყო და რა მუშაობა გატარდა, რაგან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იყო.

პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი ბრეგაძემ განაცხადა, რომ აქ საუბარი იყო, რომ პროოგრამაზე მუშაობა მიმდინარეობდა რთულ პერიოდში, პანდემიის პირობებში, შესაბამისად ლექტორებს მოსთხოვეს იმ სილაბუსების გადაგზავნა, რომლებიც ასახავდა როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტროს შესაბამის მასალას, ლექტორების მოსაზრების თანახმად ზოგიერთი საკითხი, რომელიც საბაკალავროზე განიხილებოდა უფრო მოკლედ, ერთ-ერთი მისი საგანიც იყო, იქ იყო მატრიცული ანალიზი, რომელიც უფრო სამაგისტროზე განიხილებოდა და უბრალოდ თეორიულად უნდა ახსნილიყო საბაკალავროზე, პრობლემა იყო, რომ იქ განიხილებოდა ზოგადად და მეორე შემთხვევაში დაწვრილებით და ეს არ იყო მითითებული წერილობით.

ტურიზმის სკოლის დეკანმა, ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ სილაბუსების შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული და აღნიშნა, რომ ეს არ იყო იდენტური სილაბუსები, არამედ საბაკალვრო ეტაპს დაუყენეს შედარებით უფრო მაღალი სტანდარტი, რადგან ინგლისურენოვანი იყო, შესაბამისად საერთო საკითხების დუბლირება მოხდა ნაწილობრივ სამაგისტროდან საბაკალავროში, თუმცა მიიღეს ექსპერტების რჩევა, რომ სასურველი იყო ეტაპის გამიჯვნა, რომ ეს ქაღალდზეც ფიქსირებოდეს, გადაახალისეს საბაკალავრო საფეხური, სამაგისტრო დარჩა ისეთი, დონეები შეუცვალეს საგნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარადიამ დააზუსტა, რომ მაგალითად ერთ-ერთი დასახელებული დუბლირებული საგანი იყო „ტურიზმის ეკონომიკა“, და სტუდენტმა თუ გაიარა ეს საგანი საბაკალავრო საფეხურზე, შემდეგ ჩააბარა იგივე უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურზე, გაივლიდა თუ არა იმავე საგანს.

ნინო კალანდაძემ უპასუხა, რომ იმავე საგანს გაივლიდა, თუმცა უფრო რთული საფეხურითა და შევიწროებულ ვადებში.

თამარ ზარანდიამ იკითხა, რომ თემატიკა და ლიტერატურა იყო განსხვავებული, მათ უნდა ცოდნოდათ, რომ შედეგი უნდა ყოფილიყო განსხვავებული, რადგან დაუშვებელია ბაკალავრსა და მაგისტრანტს ერთიდაიგივე შედექი ჰქონოდა და ეს სილაბუსებზე მუშაობისას უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

ნინო კალანდაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურზე არ ქონდათ წინაპირობად საბაკალავრო საფეხური, ანუ ნებისმიერს შეეძლო მისვლა და გარკვეული საბაზისო ცოდნა მისთვისაც უნდა მიენიჭებინა სამაგისტრო საფეხურს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს შეეძლო მხედველობაში მიეღო ის მდგომარეობა, რომელიც ვიზიტის განხორციელებამდე იყო. მან მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია საკმაოდ მძიმე იყო, რადგან მისი დასასრული იყო შემდეგი „უნდა გადამუშავდეს, რადგან უზრუველოფილი იყოს სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა“, აქედან გამომდინარე სამაგისტრო დონეს რაღაც კომპონენტებში არ შეესაბამებოდა, მისთვის გასაგები იყო ყველას პოზიცია, თუმცა მისი აზრით,

თუ დაწესებულებას სურდა, რომ მომავალში გაევლო აკრედიტაცია თავისთავად ცხადი იყო, რომ გაითვალისწინებდნენ, თუმცა პრობლემა მძიმე იყო.

კახა შენგელიამ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს და დაარწმუნა, რომ ეს ყველაფერი მოხდა დროის სიმცირის გამო, რადგან სასწრაფოდ უნდოდათ დაეწყოთ პროგრამების ფუნქციონირება, მოთხოვნა იყო უცხოელი პარტნიორების. მისი თქმით, უნივერიტეტის ხანგრძლივი მიზანი იყო, რომ რაც შეიძლება მეტი ფული შემოსულიყო ამ ქვეყანაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაციები იყო, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული აკრედიტაციის პროცესში. რაც შეეხებოდა მათ პოზიციას, ნორმატიულად იყო ასეთი მოცემულობა, რომ თუ დაწესებულება აკმაყოფილებდა ნორმატიულად სტანდარტებს ის იმატებდა პროგრამას, ინსტიტუციური შეფასება, რომელიც საბჭოს წევრებს დაეგზავნათ, შემაჯამებელი ცხრილის მიხედვით შეფასება ძალიან კარგი იყო, უნდა მომხდარიყო ხაზგასმა, რომ აღნიშული რეკომენდაციები აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 15:57 წუთზე.
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:00 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 86-ე მუხლი პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტს (ს/კ: 205050567) მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

| № | **პროგრამის დასახელება** | **სწავლების ენა** | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)** | **განხორციელების ადგილი** | **საფეხური** | **ECTS** |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | ინგლისური | ტურიზმის მაგისტრი 1015 | პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო | მაგისტრატურა | 120 |

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 86-ე მუხლი პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტს (ს/კ: 205050567) მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

| № | **პროგრამის დასახელება** | **სწავლების ენა** | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)** | **განხორციელების ადგილი** | **საფეხური** | **ECTS** |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა | ინგლისური | ტურიზმის ბაკალავრი 1015 | პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი 0102, საქართველო | ბაკალავრიატი | 240 |

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 19:20 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ